– დელფინები სანაპიროზე პერიოდულად ყოველთვის ირიყებოდა, ჩვენ მათ კვეთთ და ცვილობთ, სიკვდილის მიზეზი დავადებით. სიკვდილის ათასგვარი მიზეზი არსებობს: ერთი, მაგალითად, სიბერით იყო მკვდარი, მეორე – ბადემი იყო გახეული, მესამე იმდენად გახრწნილი იყო, რომ სიკვდილის მიზეზზე ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. თანაც, მარტსა და აპრილში მეთევზეები ბევრ გასახლართოდ ბადეს ღვაძენ, რომლებშიც დელფინები და სხვა თევზებიც იღუპებიან.

გარდა ამისა, დელფინებს ისეთივე დაავადებებიც აქვთ, როგორც ადამიანებს. ერთ-ერთის სხეულში სიმსივნური წინაზარდიც კი ვნახეთ. რთულია განსაზღვრო, რა მიზეზი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ჩვენს თანამშრომლები ახლაც იქ არიან, მთლიან სანაპიროს უკვლიან. მართალია, morbill-ს აღმოჩენა ძალიან ძნელია, რადგან ის სწრაფად იღუპება, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ ეპიდემია ამ მომენტისთვის საქართველოს სანაპიროზე არ არის.

ხათუნა ჩიბოშიძე

ნაწყვებები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სააღმშენებლო ეპისტოლედან (2016)



დღეს ყველა ბედნიერია, - მდიდარი თუ ღარიბი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ჯანმრთელი თუ სნეული... ურწმუნო ადამიანიც კი სხვა გრძობითაა განმსჭვალული.

- რატომ არის ასეთი ყოველსომეცველი ეს ზეიმი?

- იმიტომ, რომ მაცხოვარმა აღდგომით ზეცის კარიბჭეზე გახსნა ყველასთვის და ადამის მთელი მოღვაწე ადამის ცოდვის გამომსყიდველს შეხარის.

- მაგრამ რის ფასად მოგვენიჭა ეს ბედნიერება?

- "შენთვის ღმერთი შენი ვიქმენ ძედ შენდა; შენთვის უმადლესი ზესკნელთა გარდამოვხედ ქუეყანად და ქუეყანით შთავხედ ქუეყნა ქუეყანისა, რათა ხრწნილდებისაგან აღგადგინო," - ვკითხულობთ დიდი შაბათის საკითხავში.

ღიას "ცოდვის არმცოდნე (უფალი) ცოდვის მსხვერპლი გახდა ჩვენი გულისთვის, რათა მასში ღმერთის სიმართლედ ვქცეულიყავით" (II კორ. 5:21).

ამ მოვლენის არსი რომ ნაწილობრივ მაინც გავაცნობიეროთ, ჯერ სულიერად გოვლოთა უნდა მივხედოთ, სადაც ჯვარცმულ მაცხოვართან ერთად ორი დამნაშავეა გაკრული ძელზე.

ორივე ავაზაკი ცოდვებით და უკეთურებებით იყო სახსე, მაგრამ სულიერად სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ერთი შეურაცხყოფდა უფალს და დასცინოდა მას, მეორე კი თავის ხვედრს სამართლიანად მიიხრევა და სთხოვდა იესოს შეწყალებას.

დაიდა რწმენა! - ასე ახასიათებენ წმინდა მამები მეორე ავაზაკის ამ მდგომარეობას. სააღმშენებლო ერთობა რომელიაში ვკითხულობთ: თვით მოციქულებიც, რომლებიც ხედავდნენ უკვე მკვდრებით აღმდგარ იესოს, კიდევ მერყეობდნენ და დამამტკიცებელ საბუთებს ეძიებდნენ, ჯვარცმულმა ავაზაკმა კი ყველაზე დამამ-

ცირებელი სასჯელით დასჯილი ქრისტე იწამა და შესთხოვა: "მომისხენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა" (ლუკა, 23:42); პასუხად კი მიიღო: "ამინ, გეტყვი შენ: დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა" (ლუკა 23:43).

თავმდაბლობამ, საკუთარ ცოდვითა გაცნობიერებამ და სინანულმა ავაზაკს სულიერი თვალი აუხილა, ჯვარცმულ იესოში მაცხოვარი დაინახა, რაც გახდა მიზეზი ჯვრიდან ზეცაში მისი მსწრაფლ აღყვანებისა.

აქვე მინდა შეგახსენოთ "ქართლის ცხოვრებაში" დაცული შემდეგი ისტორია: იერუსალიმიდან მოსული მოწვევის თანამად, დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად და, ამასთან, მაცხოვრის ჯვარცმასზე დასასწრებად წასვლა საქართველოში მცხოვრები ებრაელებიდან, ღონივრითან ერთად, მოუწია წმინდა სიდონიას ძმას, ელიოზს;

მათი დედა დიდად წუხდა იმის გამო, რაც შეიძლება წმინდა ქალაქში განვითარებულიყო, რადგან გრძობდა, უსამართლო განსჯა ხდებოდა მართლისა; ამიტომაც შეილი დაარიგა, არ მიეღო მონაწილეობა მაცხოვრის დასჯაში, რაც ელიოზმა აღასრულა და მცხეთაში მაცხოვრის კვართი სწორედ მან და ღონივროზმა ჩამოაბრძანეს.

მანამდე კი, პარასკევ დღეს, როცა პასანიკმა (ჯვართმა) კვერი (იგივე ურო) დაარტყა იესოს ჯვარზე მისაჭედებლად, ელიოზის და წმინდა სიდონიას დედა იმდენად თანაუხიარა ვნებებს უფლისას, რომ დაჭედების ხმა მას გოვლოთიდან მცხეთას მოესმა, სამსჭვალმა თითქოს გულში გაურა, ტკივილისაგან სულშეძრულმა "იკრჩხილა მწარედ" აღმოთქვა რა: "მშვიდობით, მეფობათა ჰურიათათ, რამეთუ მოჰკალით თავისა მაცხოვარი და მსხნელი" და სული განუტყვა.

ეს არის იესო ქრისტეს, როგორც ჭეშმარიტი ღმერთის, სრული აღიარება და ამასთან, მისთვის პირველი მარტვილობის მაგალითი ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიაში.

ასე რომ, მაცხოვრის ჯვარცმისას მარადიული ნეტარების ღირსი ორი პიროვნება აღესრულა ქრისტეს რწმენით, - იერუსალიმიში ავაზაკი და მცხეთაში წმინდა სიდონიას და ელიოზის დედა. წმ. სიდონიას დედა წმინდანად ახლახანს იქნა კანონიზებული საქართველოს ეკლესიის მიერ.

აღნიშნავთ იმასაც, რომ კეთილგონიერი ავაზაკი ამავე დროს, არის მონაწილე ქრისტეანის სიმბოლო, რადგან ჩვენ ყველანი ცოდვლით ვართ ღმერთის წინაშე. მართალია, უფლის ნათლისღებით ნათელივდეთ და განვიბნებთ სულისა და ხორცის ბიწისაგან, მაგრამ ჩვენი დაცემული ბუნების გამო ნათლობის შემდეგაც არ ვიშლით ავ ზნეს და ვნებათა მონა ვხდებით ყოველდღიურად, რაც საუკუნო დაღუპვას გვიქადის.

- როგორ მოვიქცეთ?
- ღმერთს უნდა მივუახლოვდეთ.
- და რა გავაკეთოთ ამისათვის?
- უნდა ვისწავლოთ საკუთარ თავზე დაკვირვება, თითოეული ჩვენი ქმედების სწორი შეფასება, უნდა ვისწავლოთ ანალიტიკური აზროვნება, თეორისა და შავის

გარჩევა, რაც საშუალებას მოგვცემს ბოროტს განვეშოროთ და სიკეთეს ვემსახუროთ.

სამწუხაროდ, თუნდაც მორწმუნე, მაგრამ არაკლესიური ადამიანების უმრავლესობასაც თავდაპირველად ჰგონია, რომ მათ, თითქოს, ცოდვა არა აქვთ, რომ კარგი თვისებებისანი არიან და არაფერი აქვთ სააღსარებო და მოსანანიებელი; მაშინ, როდესაც, მართლაც, წმინდად მცხოვრები გულწრფელად მიიხრევენ, რომ უღირსია და მათზე ცოდვილი სხვა არავინაა.

როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, მომაკვდინებელ ვნებები შემდეგია: გემოთმოყვარება (ნაყოფიანება), სიძვა, ვერცხლისმოყვარება, მრისხანება, მოწყინება, უიმედობა, დიდებისმოყვარება და ამპარტავნება. სხვა ყველაფერი მათგან მომდინარეობს. ამა თუ იმ ცოდვამ ადამიანში თუ ღრმად გაიდგა ფეხი, მას დამღუპველი ზემოქმედება აქვს.

ამიტომაც, ნუ იფიქრებ, რომ თუ შენ, მაგალითად, კეთილი ხარ, მაგრამ ღოთი, ეს ცოდვა მიიმედ არ იმოქმედებს შენს მომავალ ცხოვრებაზე. ან, თუ გონიერი ხარ, მაგრამ შურით სახსე, ეს ხელს არ შეგიშლის ცხოვრებაში.

"ვინც თქვა არ იმრუშო, ისიც თქვა: არა კაც მოკლავ, რჯულის დამრღვევი ხარ." (II ტიმ. 2, 10-11). ამასთან, ვნებებს შორის უხილავი, მტკიცე მიზეზ-შედეგობრივი კავშირია და თუ ადამიანი ერთ-ერთმა მათგანმა ჩაითრია, ის ერთი სხვა ვნებებსაც მოიხილავს.

თუმცა, როგორც ერთი ცოდვა შობს მეორეს, ასეთივე თვისებისაა ქრისტიანული სიკეთეც. იცოდეთ ღმერთისათვის საქმეში თუ განმტკიცდები, სხვა სათნოებებსაც შედარებით ადვილად მოიპოვებ.

ღმერთს უყვარს გულწრფელი მონაწილე ასეთი ადამიანი; უყვარს იმდენად, რომ მისი მოწყალება ფარავს ყველაზე დიდ და მიიმე ცოდვებსაც.

- როგორ მივხედეთ, ცოდვის ტოლფასია თუ არა ჩვენი სინანული?

- თუ შედეგად ჩვენში ხდება ცოდვასთან სრული განშორება და აზროვნების და ცხოვრების წესის შეცვლა, - მიზნისთვის მიგვიღწევია.

ასეთი სინანული არის სინდისის განმწმენდი და აღმადგინებელი ძალა, სულიერი სიმშვიდის მომნიჭებელი და სასწაულთმოქმედების უნარის მქონე მადლი, ღმერთს მოწყალების გამგები ერთადერთი კარი.

სულიერი თვალის ახელა ზოგიერთ პიროვნებაში ნელ-ნელა ხდება, ზოგიერთში კი - ერთბაშად, თუმცა ორივე შემთხვევაში სიწმინდის შენარჩუნება სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს.

ამ ბრძოლაში დიდ შეცდომას დაუშვებთ, თუ მხოლოდ ჩვენს საკუთარ თავს დავეყრდნობით, არამედ მუდმივად უნდა ვლოცულობდეთ და უფალს ვუხმობდეთ, რადგან მხოლოდ იგია ბოროტის შემშუპველი და ჩვენი განმადღიერებელი.

არ შეუშინდეთ დროებით წარუმატებლობებს!

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ის კი არ არის საშიში, თუ ვნებები გვებრძვის

და ჩვენც ვებრძვით მათ, არამედ ისეთი მდგომარეობა, როცა ვემორჩილებით სხვადასხვა ვნებას და წინააღმდეგობის გაწევის სურვილი აღარ გვაქვს.

უბედურება იმაში კი არ არის, რომ უფალს შესცოდვ, არამედ იმაში, რომ დაცემულს ადგომა არ გინდა; უბედურება ის კი არ არის რომ ვნებებმა დროებით დაგქოლა, არამედ ის, რომ ცოდვაში ცხოვრება მოგწონს და ჯიუტად აგრძელებს ასეთ ყოფას და შენი უმწეობით სხვათაც ღუპავ.

ზოგს მიაჩნია, რომ ღმერთის მცნებების დაცვა ანელია და რადგან ამის უნარი არა აქვს, ურჩევნია, ძველებურად განაგრძოს ცხოვრება, თუმცა იცის, რომ სწორად არ იქცევა. დიდი ნაწილი კი ფიქრობს, რომ მისთვის მთავარია, დღეს, აქ ჰქონდეს ყველაფერი, აქ იკემოს ყველა შესაძლო სიამოვნებაც და განსაცდელიც, რადგან რა იქნება გარდაცვალების შემდეგ, არ იცის და არ ესმის, რატომ უნდა დაიტანჯოს თავი რაღაც გაურკვეველი მომავლისათვის, რომელიც მართლა არსებობს თუ არა, არავინ უწყის.

"ამქვეყნიური ჩვენი ყოფა ქარვასლას ჰგავს, სადაც ყველაფერი იყიდება, - წერენ წმინდა მამები, - წარუვალი ბედნიერების შექმნა თუ გსურთ, წარმავალი დროებითი სიკეთენი უნდა დათმოთ, რადგან იგი მხოლოდ ასეთი საფასურით მოიპოვება; მაგრამ თუ ამ შესაძლებლობას ახლა ხელ-იდან გაუშვებთ, მას სამუდამოდ დაკარგავთ, რადგან ასეთი საშუალება აღარასოდეს გვექმნება."

როდესაც ვსაუბრობთ, რომ დროებითი სიკეთენი უნდა დათმოთ მარადიული ნეტარებისთვის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მორწმუნე ადამიანი (საერო თუ სასულიერო პირი) ამქვეყნიურ ცხოვრებას მუდმივ მწუხარებაში ატარებს; სულაც არა. ცოდვასთან და სხვადასხვა ბოროტებასთან სულიერი ბრძოლა თუ ხდება ღოცვითა და ღმერთზე მინდობით, უფალთან უხილავი, მაგრამ რეალური ისეთი კავშირი მყარდება, ისეთი სხვა განცდა შემოდის, რომ იგი თავისი სიძლიერით ფარავს ნებისმიერ ტკივილს. ამიტომაც ამბობენ, რომ ამგვარად მცხოვრებთათვის სამოთხე დედამიწიდან იწყება.

ღიას, ადამიანი ბედნიერებისათვისაა შექმნილი და ამას ესწრაფვის იგი მაშინაც, როდესაც ვნებებს ემონება და მაშინაც, როდესაც ცოდვებს განეშორება.

ვისაც ცოდვის მორევეში ყოფნა მოსწონს და ამაში ჰპოვებს მხოლოდ სიამოვნებას, მისთვის გაუგებარი და მიუღებელია ის სიხარული და ნეტარება, რომელსაც ჯვარცმული იესო გვთავაზობს.

აღვდგეთ და ამიერიდან ჩვენც "წარვიდეთ სიკვდილისაგან ცხოვრებად, წარვიდეთ ხრწნილებისაგან უხრწნელებად, ბნელისაგან ნათლად, მონებისაგან თავისუფლებად, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა, ამინ!"

თქვენთვის მლოცველი
ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი,
აღდგომა ქრისტესი, 2016 წელი

ევროპარლამენტის პრეზიდენტი: ევროკავშირი შეიძლება ჩამოიშალოს



რისკი არსებობს, ნაწილობრივ ევროპის ქვეყნებში ევროსკეპტიკური განწყობების ზრდის გამო.

ევროპარლამენტის პრეზიდენტის განცხადებით, "ბრიტანეთის ევროზონიდან გასვლის რეფერენდუმმა შესაძლოა სხვა რეფერენდუმებიც გამოიწვიოს".

- "ჩვენ მოლიპულ გზაზე ვდგევართ, საჭიროა მეტი მონაწილეობა ევროპული პოლიტიკოსების მხრიდან და მეტი კომუნიკაცია ხალხთან", - აცხადებს შულცი.

მისი თქმით, მოქმედმა პოლიტიკოსებმა ხალხთან მჭიდრო კონტაქტის მეშვეობით პასუხი უნდა გასცეს ევროსკეპტიკოსების მიერ დას-

სოფელ ერგეთაში ძვირფასი ნივთები აღმოაჩინეს



არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს ცვანეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ზღვის სანაპიროდან დაახლოებით 2,5 კმ. დაშორებით. ამ ადგილს მოსახლეობა „ნატყარუს“ (ნატყვარუს) უწოდებს. აღნიშნული ძეგლი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისაა, ხოლო უშუალოდ ის აკლდამა, რომლის შესწავლაც ამჟამად მიმდინარეობს განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის მერვე-მეშვიდე საუკუნეებს.

რამდენიმე ხნის წინ აღნიშნული არქეოლოგიური გათხრები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ვაჭეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა დაათვალიერეს. ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენისთვის კომპლექსური სამუშაოები რაიონის გამგეობის დაფინანსებით გრძელდება.

შულციის თქმით, ევროკავშირის "ჩამოშლის"

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეთაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს არტეფაქტები და სხვადასხვა ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი სამკაულები, სამურნეო, საბრძოლო და სარიტუალო ნივთები.



ღვანულადი მასწავლებელი, პედაგოგი, მოქალაქე



80 წელი შეუსრულდა სასიკაძულო მამულიშვილს, ჭეშმარიტად პატრიოტს, ერთგულ ადამიანს, ცნობილ მეცნიერს, საინჟინერო პედაგოგს, უმწიკვლო კოლეგასა და მეგობარს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს რანი ჭაბუკიანს, რომელმაც თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი საშვილიშვილო და ფასდაუდებელი საქმეების კეთებას მიუძღვნა. განსაკუთრებულმა ნიჭმა, უდიდესმა პასუხისმგებლობამ, შრომის-მოყვარეობამ, ნებისმიერი საქმისადმი გულწრფელმა დამოკიდებულებამ იმთავითვე გამოარჩია მისი პიროვნება. ერთ ადამიანს დამერტმა ასე უხვად მოამადლოს ნიჭი და სიკეთე, სიბრძნე და სიღირსაღი, ეს ძალიან იშვიათია და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ასეთი გახლავთ პროფესორი რანი ჭაბუკიანი.

ბატონი რანი ჭაბუკიანი დაიბადა 1936 წლის 3 მაისს ქ. ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა მე-8 საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე, სადაც ისწავლა ორი წელი. ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა სასწავლებლად გადმოსულიყო ქუთაისში ახლად გახსნილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით, 1960 წელს. იმავე წელს მუშაობას იწყებს ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის სპეციალურ საინჟინერო ბიუროში, სადაც პერსონალურად ჩააბარეს მაღალი ძაბვის საკომპრესო სინქრონული ელძრავის კონსტრუირება, რომლის პირველი ეგზეკუტარი იქნა დამზადებული და წარმატებით გამოცდილი წარმოებაში. 1965 წელს ბატონმა რანამ მოულოდნელად მიიღო მოწვევა გადასულიყო ქ. სოხუმიში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტრაქტორებისა და ავტომობილების კაზემარაზე სამუშაოდ, რომლის გამგედ იმ პერიოდში დაინიშნა მოსკოვიდან დაბრუნებული დოც. მ. ჭიჭინაძე. სწორედ ამ კათედრაზე მუშაობდნენ მისი მასწავლებლები, რომელთაც განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა კათედრის ყოფილი გამგე და ინსტიტუტის ყოფილი პრორექტორი პროფ. შ. კერესელიძე, რომელიც სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ გადაყვანილი იქნა სამუშაოდ ქ. თბილისში. ეს პიროვნება, როგორც კათედრის სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების უცვლელი ხელმძღვანელი სიცოცხლის ბოლო წლებამდე მოღვაწეობდა კათედრაზე, სადაც მრავალ ათეულ ახალგაზრდას დაულოცა გზა მეცნიერებაში კანდიდატებისა და დოქტორების სახით.

ბატონმა რანამ 17 წელი იმუშავა ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრაზე, სადაც 1970 წელს დაიწვა საკანდიდატო დისერტაცია ჩაის მანქანებისათვის ოპტიმალური შიგა წვის ძრავის შერჩევის საკითხებზე და მიიღო დოცენტის წოდება. ამ წარმატებაში ღმობის წვლილი მიუძღვის არა მარტო მეცნიერ-ხელმძღვანელს პროფ. შ. კერესელიძეს, არამედ კათედრის გამგესაც დოც. გ.

ჭიჭინაძეს, რომელიც მუდმივად ზრუნავდა თავისი თანამშრომლების სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

1979 წელს ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრას გამოეყო ზოგადი საგნების კათედრა, რომელიც ექსპლუატაციის კათედრა, რომლის ინიციატორი იყო დოც. ო. იამანიძე. დოც. რ. ჭაბუკიანი აღნიშნული პერიოდის მუშაობას აგრძელებს ახლად შექმნილ კათედრაზე და დაკავებულია ძირითადად რუსულ სექტორებთან. დოც. ო. იამანიძე ქ. მოსკოვში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ყოფნის დროს გაეცნო ანალოგიური კათედრების მუშაობის თავისებურებებს და მიზნად დაისახა მოერგო ეს მეთოდები სუბტროპიკულ მიწათმოქმედებაში მანქანათა გამოყენებისა და ტექნიკური სერვისის პრობლემებზე, რომელიც მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1986 წელს ქ. ლენინგრადში. ამ წარმატებამ ბიძგი მისცა დაწვეულიყო ფუნდამენტალური საკითხების დამუშავება კათედრაზე. ერთ-ერთი ასეთი საკითხი – მანქანათა საწარმოო ექსპლუატაცია სუბტროპიკულ სამთო მიწათმოქმედებაში, რომელიც პროფ. შ. კერესელიძემ შესთავაზა ბატონ რანის, წარმატებით დაცული იქნა სადოქტორო დისერტაციის სახით 1989 წელს. ამ ფაქტს მოჰყვა ფაკულტეტის სხვა კათედრების თანამშრომელთა სადოქტორო დისერტაციები: გ. ჭიჭინაძე, მ. გოგიშვილი. ამ სტრუქტურის ავტორი, ნ. ებანიძე.

1993 წლის აფხაზეთის მოვლენების შემდეგ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტმა ფუნქციონირება დაიწყო ქ. ქუთაისში. ბატონი რანი რექტორის პროფ. ვ. ფრუიძის ბრძანებით დაინიშნა ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგედ, ხოლო მოგვიანებით ინსტიტუტის პრორექტორად დაუსწრებელი სწავლების დარგში. ქუთისის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ა. კოსტავამ ბატონი რანი მიიწვია თავისთან სამუშაოდ, შედეგად მოხდა მისი არჩევა **მტშ-ს** პროფესორად, რის შედეგადაც შეყვანილი იქნა უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში; იგი მანამდე იყო აგრეთვე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრიც.

2005 წელს, საქართველოში განათლების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, პროფ. ბატონი რანი ჭაბუკიანი განთავისუფლებული იქნა კათედრის გამგისა და პრორექტორის თანამდებობიდან და დაინიშნა უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელად, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ პროფესორ-ემერტუსად. ემერტუსობის პერიოდში იგი ძირითადად დაკავებულია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებით და დოქტორანტების ხელმძღვანელობით.

პროფ. რ. ჭაბუკიანს ქ. სოხუმიში ცხოვრების პერიოდმა დაანახა სეპარატისტთა ნეგატიური დამოკიდებულება ქართული მენტალიტეტისადმი. ამ მდგომარეობამ კიდევ უფრო გააღრმავა მისი ინტერესი საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიის საკითხებისადმი, რომელსაც იგი ეზიარა ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში – ქუთაისის პიონერთა სასახლის ხაზით მშობლიური მხარის შესასწავლად ორგანიზებულ მოსწავლეთა ყოველწლიურ ლაშქრობებზე. ამ შთაბეჭდილებებმა აიძულა იგი თავის ძირითად სპეციალობაში ინტენსიური მუშაობის პარალელურად საფუძვლიანად შეესწავლა ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ისტორიკოსის მიერ გამოქვეყნებული ყალბი მიკროდოქტორული ნაშრომები, რომლებშიც აღვივებდნენ ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას. ამ მდგომარეობას წარმატებით იყენებენ

ჩვენდამი მტრულად განწყობილ ქვეყანათა სპეცსამსახურებში ჩანერგილი რეაქციული ძალები. მეცნიერის მიზანია იყო თავისი რუსულენოვანი და გააფხაზებული სტუდენტებისათვის დაეწერა არგუმენტირებული ნარკვევები ისტორიული სინამდვილესა და აფხაზეთში არსებული მოვლენების შესახებ. ამ ნაშრომების გამოქვეყნება სამწუხაროდ მხოლოდ დევნილობის პერიოდში მოხდა.

აფხაზეთის პრობლემებზე პროფ. რ. ჭაბუკიანის გამოქვეყნებული აქვს შემდეგი პუბლიკაციები:

1. Прелюдия трагедии Абхазии – Кутаиси – 1995 г.
2. Абхазия – по следам предков – Кутаиси – 2001г.
3. აფხაზეთი – დამოუკიდებლობა თუ ერთიკური კატასტროფა – ქუთაისი – 2012 წ.

და მაინც ჩვენმა თაობამ ვერ აიცილა ქვეყნის უბედურება, დღეს აღარ ყოფის „მამალი, რომელიც აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს“ (შ. ნიშნაიძე) სამაგიეროდ ბატონი რანი, თქვენ დაგრჩათ შეუხორცებელი ჭრილობა გააღებული სამშობლოს გამო. მწამს, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს და მოვა დრო ოკუპირებული აფხაზეთის დედის კალთასთან დაბრუნებისა. მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ შინ დაბრუნების ოცნებას და ოდაბადებულ ტბილ-მწარე მოვლენებს უნდა დასჯერდეს მშობლიურ კუთხეს მოწვევითი ადამიანი...

პროფ. რანი ჭაბუკიანი 150-მდე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორია, მათ შორის მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური მითითებებისა. ბატონ რანის მიღებული აქვს 10-მდე გამოგონების საავტორო მოწმობა, რომლებიც სუბტროპიკული კულტურებისა და სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის საკითხებს ეხება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაინერგა წარმოებაში.

ბატონმა რანამ 80 წელს გადააბიჯა. მას არასოდეს გასჩენია საიუბილეო თარიღების საჯაროდ აღნიშვნის სურვილი. და არც ვინმე შეუწუხებია ამისათვის. ნათქვამია ადამიანი თავისი წარსულის ჯამით და მისი ცხოვრების ჯამი მეტად წონადი და სასახელოა. იგი არის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, არჩეულია საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის და აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების ნამდვილ წევრად. არის ღირსების ორდენის კავალერი.

პროფ. რ. ჭაბუკიანი ბრწყინვალე პედაგოგი და ლექტორი გახლავთ, მისი ლექციები, გამოსვლები სტუდენტების წინაშე, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და სემინარებზე ყოველთვის იყო მსმენელთა ყურადღების ცენტრში. მეტად საინტერესო და სასარგებლოა მასთან შეხვედრები და საუბრები მეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე და არა მარტო სოფლის მეურნეობაზე. ის ხომ მაღალი ენციკლოპედური განათლების მქონე მეცნიერი გახლავთ; შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი მოწოდებული პედაგოგია და ამიტომაც მისი ლექცია ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალურობით, დამაჯერებელი თხრობით არსად ისე კარგად არ გრძნობდა და გრძნობს თავს, როგორც ლექციაზე. სტუდენტები გრძობდნენ ამას და ამიტაც უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ კურსდამთავრებულთა თაობები სიყვარულითა და მოწიწებით პასუხობენ გამორჩეული ლექტორის ძალისხმევას.

პროფ. რ. ჭაბუკიანი იმ ცნობილ ადამიანთა რიგს განეკუთვნება, ვისზედაც ამბობენ, უფაღმა ნიჭი, შრომისმოყვარეობა და იღბალი დაუნანებლად დააბერტყოს,

მართლაც მოჭარბებულად აქვს ბატონ რანის ყველა ეს თვისება. 80 წელი სოლიდური ასაკია, ბოლოსთვის მშვიდი და უმფოთველ ცხოვრებასთან გაიგივებული, მაგრამ არა ბატონი რანისათვის ვინც მას იცნობს და მასთან ერთად საშვილიშვილო საქმეები უკეთებია, დღესაც მის გვერდით აგრძელებს საქმიანობას. იცის, რომ ბატონი რანი ფერომეური შესაძლებლობის ადამიანია, ულვეი ენერჯის პატრონი, დაწვეული საქმის ბოლომდე მიმყვანი და რაც მთავარია, ის ყოველთვის ზუსტად გრძნობს დროის მოთხოვნებს და ამის გამო მუდამ ახალგაზრდა და ნოვატორია.

ბატონი რანი შექმულია ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ჰუმანური თვისებებით, მეგობრებისა და ახლობლებისადმი თავდადებათ, თანამომეტა სიყვარულით. იგი არის ქართველი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი. არიან ადამიანები რომლებსაც შეიძლება ისტორიული ძვრები არ მოუხდენიათ, დაფნის გვირგვინი და დიდების შარავანდედი არ დაუმსახურებიათ, მაგრამ თავიანთი უხმაურო და თავდადებად შრომით დიდ სახალხო საქმეში საკუთარი წვლილი შეუტანიათ სწორედ ასეთია პროფ. რ. ჭაბუკიანი, კაცი რომელმაც საკუთარი ხელწერით და ცხოვრების წესით მაგალითს უჩვენებს თავის დიდ სამეგობროსა და ქართულ საზოგადოებას. ნათქვამია „**მრავალნი არიან ჩინებული და მცირედი რჩეული**“. ბატონი რანი კი სწორედ ჩინებულთა შორის დგობს რჩეულია. თავმდაბლობა, სამშობლოს სიყვარული და ინტელიგენტობა ის თვისებებია, რითაც უხვად დააჯილდოვა უფაღმა. მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა და აქვს ცხოვრებაში, ქვეყნისათვის და ადამიანებისათვის სიკეთის კეთება.

პროფ. რ. ჭაბუკიანს თავის მოღვაწეობის პერიოდში მომზადებული ჰყავს 20-მდე დოქტორანტი, ასპირანტი და მაძიებელი, რომელთაც წარმატებით დაიცვეს დისერტაციები და გახდნენ თავის დარგის წამყვანი სპეციალისტები.

რა არის ასაკი? დრო რომელშიც ადამიანმა იცხოვრა, იღვაწა და დაიხარჯა, როდესაც ადამიანს საიუბილეო თარიღს ულოცავენ, ეს არ ნიშნავს, რომ მას წელთა სიმრავლეს ულოცავენ, უწინარეს ყოვლისა კი ამ პერიოდში, ამ ასაკში მოსწრებულთა და გაკეთებულ საქმეებს ულოცავენ. ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი პროფ. ვიანორ ქვაჩხია წერდა: **“კარგი კაცობა ადვილი რომ იყოს, ეს დუნია მხოლოდ კარგი კაცებით იქნებოდა დასასლბული”**. კარგი კაცობა ძალიან ტვეადი ცნებაა. იგი ჭეშმარიტების და სიკეთის კანონით ცხოვრებას ნიშნავს. აკი ამერიკელების აზრით კაცი იმით კი არ ფასდება თუ რა აქვს, არამედ იმით რას აკეთებს. თუ ეს ასეა, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ რანი ჭაბუკიანის სახით მის ოჯახს, სამშობლოს, გვარს, სამეგობროს ჰყავს კარგი კაცი, კარგი ადამიანი და პიროვნება.

ახლა კი როცა სიცოცხლის 80 წლიანი ტვირთით მხრები აქვს დამძიმებული, ისევე ახალგაზრდობის, მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება.

ღმერთმა ჯანმრთელად, სიკეთითა და სიყვარულით ატაროს ცხოვრების დარჩენილ დროში ქვეყნისა და ერის წინაშე ვალდებულ პიროვნება, რომლის წინაშე თავს ვხრით მაღლობის გრძნობით აღვსილი მისი მეგობრები.

ჩვენ მისი მრავალრიცხოვანი კეთილისმსურველები გულთადად ულოცავთ პროფესორ რანი ჭაბუკიანს საიუბილეო თარიღს და ვესურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს თვისი ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სახალხო მოძრაობა „სამმბრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძობს ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს, ბატონ ლაშა გვასალიას მამის

რომან ბგასალიას

გარდაცვალების გამო... უფაღმა ნათელში ამყოფოს ბატონი რომანის სული...

თამაზ ცანაზა
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს საინჟინერო მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ჯემალ ფუტყარაძე: სააკაშვილი განსაკუთრებული მონღოებით ანიჭებდა საქართველოს მოქალაქეობას კემშილებს – ბათუმში უნდა სომხებს



ჯემალ ფუტყარაძე აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად „ქართული ოცნების“ პროპორციული სიით აირჩიეს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მან ეს ფრაქცია დატოვა.

– რატომ, ბატონო ჯემალ?

– აჭარის უმაღლეს საბჭოში, რომელიც 21 წევრისგან შედგება, 13 დეპუტატი, ანუ უმრავლესობა კოალიციის წევრები ვიყავით. სამწუხაროდ, ეს უმრავლესობა დაიშალა და 2015 წელს, არჩევნებიდან ორი წლის თავზე, იძულებული შევიქნენ, დამეტოვებინა „ქართული ოცნების“ რიგები. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ფაქტორები.

ვერ ვიტყვი, რომ არაფერი გაკეთდა ქვეყანაში სამართლიანობის აღსადგენად, სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ უფრო მეტი რჩებოდა გასაკეთებელი. ამას ყოველთვის ხმამაღლა ვეუბნებოდი როგორც რეგიონის ხელმძღვანელობას, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებას, პრინციპულად ვაყენებდი საკითხებს, მაგრამ ჩემი აქტიუობა ზოგიერთს ამბიციურ ქმედებად მოეჩვენა და დამიპირისპირდა კიდევ. არ მინდოდა, ეს საკითხები შიდაპარტიულ ჩარჩოებს გასცდენოდა, ვილაპარაკებ კიდევ არაერთხელ პოლიტსაბჭოს სხდომაზე. ჩემი მთავარი მოთხოვნა აჭარის საკანონმდებლო ორგანოს ქმედუნარიანობის ამაღლება იყო. გადავვადგილე კიდევ გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით, მაგრამ არასაკმარისად მიმაჩნდა.

ეს ჩაგვიტოვალეს ამბიციად და არასწორ ქმედებად.

– სეპარატიზმის გამოვლენად?

– შეიძლება ასეც მოინათლოს, მაგრამ სეპარატიზმთან საერთო არაფერი აქვს. იმთავითვე მიგვაჩნდა, რომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო ხელისუფლების დეცენტრალიზაცია: მუნიციპალიტეტის დონის საკითხები მუნიციპალიტეტს უნდა გადაეწვეოდა, რეგიონისა – რეგიონს, სოფლის საჭიროებისთვის ადგილობრივ საკრებულოს უნდა ეხრებინა. ეს, ჩვენი აზრით, აუცილებელი იყო ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიზაციისთვის. მხოლოდ ასე შეიძლებოდა იმ მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრა, როცა ადგილობრივი ხელისუფლება ფორმალურ წარმონაქმნად წარმოგვიდგებოდა, რადგან, ცენტრიდან წამოსული დირექტივების შესრულების გარდა, დამოუკიდებლად საკითხების გადაწყვეტის სხვა უფლება არ გააჩნდა.

– შეგიძლიათ, მაგალითი დაასახელოთ?

– ამის დამადასტურებელი მაგალითი ბევრია. მე მხოლოდ ერთს დაგისახელებთ, რომელიც ბათუმის ისტორიულ ბუღვარის მიმართ წამოიჭრა. ვილაცას გაუჩნდა ინტერესი, აქაური ინფრასტრუქტურა თავისი ინტერესებისთვის მოერგო. ასეთი მცდელობა ჩვენს ქალაქს არ აკლდა – გარკვეული ჯგუფები ბათუმს უყურებდნენ, როგორც მსუყვე ლუკმას, როგორც შემოსავლის წყაროს თავიანთი ბიზნესისთვის. ჩვენი ისტორია და ადგილობრივი ტრადიციები აბსოლუტურად იგნორირებული იყო. ამჯერადაც მოინდომეს სახეირნო ხეივანის ნაცვლად მაღაზიების, გასართობი ცენტრების და ა.შ. აშენება. ამით ბათუმის

ისტორიული გული სრულად კარგავდა თავის სახეს და ტრადიციულ დანიშნულებას. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ თქვენი გაზუთის მკითხველებს შევახსენებ, რომ ბათუმის ბუღვარი უნიკალურია და შავი ზღვის სანაპიროზე მისი მსგავსი არც ერთ სხვა ქვეყანაში ეს გამორჩეულობა ეკარგებოდა ჩვენს ქალაქს.

ასეთი პერსპექტივა არ აღარდებდა არც რეგიონის ხელმძღვანელობას, არც ქვეყნის სათავეში მდგარ ადამიანებს. პირიქით, „ვილაც“ ფრიად იყო დაინტერესებული თავისი კერძო გეგმებიდან გამომდინარე. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. ახლა სხვასაც მოვახსენებთ იმ კომიტეტის პრაქტიკიდან, რომელსაც ვხელმძღვანელობ აჭარის უმაღლეს საბჭოში და რომლის საკურატორო დარგებია ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური საკითხები.

საკანონმდებლო ორგანოში მუშაობის პირველივე დღეებში დაერწმუნდი, რომ აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ერთგვარად უფუნქციო წარმონაქმნია, რომელიც განახორციელებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროგრამებს, რაც, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთადერთი ფუნქციაა. ამასთანავე, მას უფლება არ აქვს, გააკონტროლოს ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის მომსახურების ხარისხი. აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს არავითარი ბერკეტი არ გააჩნია თავის საკურატორო ტერიტორიაზე მოაწესრიგოს ეს პრობლემა. აღარაფერს ვამბობ პრობლემაზე, როცა ადგილობრივ მოკლებული ვართ ქვეყანაში შემოტანილი სამკურნალო საშუალებათა ხარისხისა და ეფექტიანობის შემოწმების უფლებას.

ჩვენი ეს წინადადება დახვეწილად სახით წარმოდგინეთ აჭარის უმაღლესი საბჭოს სესიას, რომელმაც ერთხმად დაუჭირა მას მხარი. ეს გადაწყვეტილება გაუგზავნეთ საქართველოს პარლამენტს და მოვითხოვეთ, რომ საქართველოს კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შეგვტანათ ცვლილება, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროს აჭარის ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის შემოწმების უფლება მიეცემოდა. იქ კი წინააღმდეგი წავიდნენ. რის გამოც მომიწია ამ კანონპროექტის გამოწვევა.

– პირდაპირ მითხარით, პროტესტის იმ ფორმამ, თქვენ რომ განახორციელეთ, გამოიღო სასარგებლო ნაყოფი?

– მხოლოდ ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა უმრავლესობა აჭარის უმაღლეს საბჭოში.

– ე. ი. როცა საქართველოს პარლამენტი სათანადოდ ვერ აანალიზებს და ვერ აფასებს რეგიონების მიერ დაყენებულ წინადადებებს, საპარლამენტო უმრავლესობას ეს ადგილებზე გავლენის დაკარგვად უჯდება?

– ასე გამოდის. გეკარგვინებს იმ ტემპს, რომელიც არჩევნების წინ მოსახლეობისთვის მიცემული დაპირებების შესახებ ურულდება გეკონდა აღებული, რაც, თავის მხრივ, წინასწარჩვენად გარკვეულ უარყოფით ფონს ქმნის მმართველი კოალიციისთვის.

– თურქეთის ექსპანსიის თემა, რომელიც დეპუტატმა გოგი თოფაძემ წამოჭრა, საქართველოს პარლამენტში მწვავე დებატების მიზეზი გახდა. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

– თურქეთთან მეგობრობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მტრობასა და დაპირისპირებაზე უმჯობესია, მაგრამ საგარეო პოლიტიკა ამ მიმართულებით დიდი სიფრთხილითა და წინდახედულებით უნდა განხორციელდეს. ამას გვიკარნახებს აჭარაში და, უპირველეს ყოვლისა, ბათუმში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ვითარება და, მეორე, – დღევანდელ ეტაპზე რუსეთსა და თურქეთს შორის უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობა. ნაციონალების ხელისუფლების პოლიტიკამ, პირდაპირ გეტყვით, ძალიან შეუწყო ხელი თურქეთის ინტერესების განხორციელებას საქართველოში. ეს მაშინ, როცა ახლან აბაშიძის პერიოდში ამ საკითხს ფრთხილად ეკიდებოდნენ.

– ნაცების მმართველობის პერიოდში თურქებისთვის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის მიცემა სააკაშვილს პობად ექცა.

– იმ პერიოდში ბათუმში შემოდოდნენ ყველა ჯურისა და კატეგორიის ადამიანები, მათ შორის ბევრი ავანტიურისტიც იყო. ეს არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის თურქებს: ნორმალური სახელმწიფო ასეთებს ქვეყანაში არ გაააჭანებსო. ჩემი და – შუშანა ფუტყარაძე, ერთ-ერთი პირველი იყო ნიკო მარის შემდეგ, რომელიც „თურქეთის საქართველოს“ სამეცნიერო მიზნით ეწვია. სხვათა შორის, ტერმინი „ჩვენებურები“ პროფესორ შუშანა ფუტყარაძის მიერ არის დამკვიდრებული სამეცნიერო ლიტერატურაში თუ სასაუბრო ენაში. სწორედ ჩვენებურებთან იყო ჩასატარებელი მნიშვნელოვანი სამუშაო, ქართული თვითმყოფადობისა და ქართული ცნობიერების შენარჩუნება-გადვივებისთვის. ეს ერთი; მეორე – ქართული სახელმწიფოებრიობის შემენებლობაში მათ ჩასართავად და არა გარკვეულ ჯგუფების კერძო ინტერესების განხორციელებისთვის ხელშეწყობად.

– მათ, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა სააკაშვილმა, როგორც ამბობენ, ქართულ ფესვებთან არავითარი კავშირი არ აქვთ...

– ბევრი მკვლევარი და არა მხოლოდ ისინი, საეჭოდ მიიჩნევენ მათ ქართულ წარმომავლობას. მათ თურქეთში ჩასული ჩვენი ყოფილი დიდმოხელეებისთვის მასპინძლობის გაწვევის საპასუხოდ ჰპირდებოდნენ საქართველოს მოქალაქეობას და ურიგებდნენ საქართველოს პასპორტებს. არა და, ახლო შესება მაქვს თურქეთში ქართულ დიასპორასთან, ქართველობით სულანთებულ ჩვენებურებთან, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არ არიან.

– სააკაშვილის სიმპათია მათზე არ გავრცელდა.

– დიახ. თურქეთი, მოგეხსენებათ, მრავალეროვანი ქვეყანაა – არიან სომხებიც, ქურთებიც, კემშილებიც – გათურქებული სომხებიც, რომლებსაც სააკაშვილი განსაკუთრებული მონღომებით ანიჭებდა საქართველოს მოქალაქეობას. ამ საკითხს უნდა მიხედოს ჩვენმა ხელისუფლებამ. კიდევ ერთი. ამას წინათ პრეზიდენტყოფილი ტელევიზიით გამოდიოდა და ტრამპის ბაზობდა, როგორ გაიზარდა ბათუმში მცხოვრებთა რაოდენობა მისი პოლიტიკის წყალობით, რომელმაც მიიზიდა ხალხი, როგორც პერსპექტიულმა კურორტმა.

– ბათუმის ნიუ-ვასიუკიით აყვავებას გეპირდებოდნენ... ასიათასობით სამუშაო ადგილის შექმნას.

– ქალაქის მოსახლეობის გაზრდაც მაგოპერდინა: სინამდვილეში, არც მეტი, არც ნაკლები, ბათუმს შემოუერთეს მიმდებარე რაიონების სოფლები. იმ სოფლებს ქალაქისა არაფერი დატყობია, პირიქით: „გაზრდილ-გაფართოებული“ ბათუმის ქუჩებში, ინდოეთის არ იყოს, ძროხები და სეირნობენ. მიმანია, რომ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს ეს სიმამინჯე – სოფელი სოფლად უნდა დარჩეს. გაუგებარია, რატომ აქამდე არ დაუბრუნეს ეს სოფლები რაიონებს კუთვნილებისამებრ.

– უთუოდ მიაქცევდით ყურადღებას, რომ ქართულ პრესაში დაუფარავად იწერება ბათუმში თურქული ექსპანსიის შესახებ. ადგილობრივ მოსახლეობას რა რეაქცია აქვს ამ რეალობისადმი?

– ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს ის, რომ მას ბიზნესის წამოსაწყებად და გასაძლიერად არ აქვს იგივე პრიორიტეტები, რომლებიც თურქეთიდან ჩამოსულები სარგებლობენ. ასეთი დისპროპორცია ყოფილი ხელისუფლებისგან მოდის. ამ პრობლემის მოგვარებას წინ რა უდგას, ვერ გამოვიცა.

როცა გაჭირვებულ-გაღატაკებული ადგილობრივები მშობლიური ქალაქის ქუჩებში მომრავლებული, ხშირად საეჭვო დანიშნულების თურქული „ობიექტებიდან“ იხმენენ მხოლოდ აღმოსავლურ მუსიკას, მხოლოდ თურქულ საუბარს, რა თქმა უნდა, ღიზიანდებიან. მწვავე რეაქცია და დაპირისპირება რელიგიურ თუ ეთნიკურ ნიადაგზე რეალურ კონტრებს იქნეს, ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ეს პრობლემა კანონის ჩარჩოებში, თანასწორობის პრინციპით გადავწყვიტოთ. დღეს კი ვითარება სახიფათოა და ამის დაუნახაობა დანაშაულია.

– თურქეთის რესპუბლიკასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობის ეჭვქვეშ დაყენება გამორიცხვულია, მაგრამ რუსეთ-თურქეთის მწვავე დაპირისპირების ფონზე როგორ გეხსენებათ ჩვენი ჩრდილოეთი მეზობლის მიმართ განსახორციელებელი პოლიტიკა აჭარაში, რომელიც თურქეთთან უშუალოდ მოსახლვე რეგიონია?

– ერთმა ჩემმა თურქმა მეგობარმა, რომელსაც რუსეთში დიდი სამშენებლო ბიზნესი ჰქონდა, მაგრამ სანქციების დაწესების შედეგად იძულებული შეიქნა, შეეწვეოდა საქმიანობა, თქვა ასეთი რამ: თუ თქვენ რუსეთთან ურთიერთობას მოავარებთ (მოგეხსენებათ, დღეს ამ მხრივ ჩვენთან დატობის პერიოდი დაწყებული, შეიძლება ამან ჩვენი მდგომარეობაც გამოასწოროს. საქართველომ შეიძლება ერთგვარი მედიატორის როლიც კი იტვირთოს ამ სიტუაციაში. რუსეთსაც და თურქეთსაც საქართველოში თავიანთი ინტერესები აქვთ, და ჩვენ ჭკვიანური პოლიტიკით შეგვიძლია ამ ურთულესი საქმის მოგვარებაში პოზიტიური წვლილის შეტანა.

ესეც არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ისტორიული მისია დროის მოცემულ მონაკვეთში.

ესაუბრა არმან სანმბლიძემ

გაზეთ „ილორი“-ს კომენტარი: მიჭირს იმის დაჯერება, რომ საქართველოს დაუბინებელ მტერ ნაცებს და მათ ნარკომან ბელადს სააკაშვილს ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჩემს მშობლიურ კუთხეში – სამეგრელოში ჰყავთ. კიდევ რა სიაგაკცე უნდა ჩაიღინონ ფაშისტმა ნაცებმა, რათა საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (გარდა ანგაჟირებული და ნაცების ფულს დახარბებული არარაობებისა) ირწმუნოს ის ამბავი, რომ სააკაშვილი და მისი ნაცბანდა საქართველოს გასანადგურებლად იყვნენ მოწვეულები და რომ არა 2012 წლის არჩევნები, ეს დაშნაკები სისრულეში მოიყვანდნენ ვერაგულ ჩანაფიქრს! ფაქტები გნებავთ? – ნაცებმა თითქმის სრულად გაანადგურეს საქართველოს განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი, ეკონომიკა, რელიგია... მათ გადაიტანეს პარლამენტი ქუთაისში და აპირებდნენ საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანას, რითაც სათავე დაედებოდა აღმოსავლეთ საქართველოში სირიიდან თუ სხვა ქვეყნიდან სომხების მასიურად შემოსახლებას გაეროს და სხვა პუნქციონარული ორგანიზაციების ეგიდით! თუ ავადსახსენებელი მიხეილ (გარეგინ) სააკაშვილისა და დაშნაკი ნაცების ამ საქციელში მტრულ განაზრახვებს ვერ დაინახავ, ან საქართველოს ჭკვიანი და ცბიერი მტერი ხარ, ან უგუნური მოყვარე!!!



ილორი მს ბზა საქდრაძლე არ მიბვივანს!

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“
ილია

ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის დაპირება, რომ საქართველოში ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული სახალხო მმართველობა დამყარდებოდა და იმ ბალანსიდან განათავისუფლდებოდა, რასაც „ნაციონალიზმი“ ჰქვია, ყველასათვის ცხადია, რომ ჩაიღურის წყალი დალია. ქართული საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, რომ რეალური მიზეზი ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის ამერიკული პროექტი იყო, ბოკერიას შუამავლობით, და არა ქველმოქმედის, სამშობლოზე შეყვარებული პიროვნების კეთილი ნება და ქართველებზე გულისტკივლი. ეს გარემოება მის განცხადებაშიც აისახა, როცა ბრძანა, რომ რუსეთს არ დაეღაპარებოდა, სანამ ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს. სწორედ ამიტომ პირველი ნაბიჯი ჩვენ უნდა გადავდგათ, თანაც პუტინის მმართველობის პერიოდში. საგულისხმოა, რომ ლავროვმა ვილინოუსში არც მოუსმინა და არც დაეღაპარა საგარეო საქმეთა უმწიფარ და მარიონეტ მინისტრს, რომელიც მაღლიერების ცრემლებს აღვარდვარებდა მონური მორჩილებით ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერისას.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლი – ვალერი გაბელია აცხადებს, რომ 2004წ. პუტინი მონდომებული იყო მოლაპარაკება დაეწყო ხელისუფლებასთან და საუკუნის პრობლემა გადაეჭრათ, მაგრამ ხელისუფლებამ არ ინება საპასუხო ნაბიჯის გადადგმა, რადგან დასავლეთი და ამერიკა ცდილობენ პოსტსაბჭოთა სივრცის დისტანცირებას რუსეთისაგან. ხელისუფლებისგან ამ თემის იგნორირება ნიშნავს, რომ არ აღვივებთ იმ ადამიანთა ბედი, საკუთარი სახელ-კარი და მიწა-წყალი რომ დაატოვებინეს და გლეხები ბაზრის მაწანწალებად აქციეს. ძალიან შეიმედებოდა ბ-ნი ბიძინას ერთი ფრაზა მისთვის ჩვეული უსტიკუღაცით: „ი, გახსოვთ როგორი ცხოვრება იყო საბჭოთა კავშირის დროს“... და აღარ დაამთვრა ნაცების შიშით. შეიმედებოდა ბერას სიმღერის ტექსტიც: „ქართული, ყველაფერი ქართული“... თუ ვინმე ფიქრობს, რომ საბჭოთა და მოსკოვიდან დასაჯებულია წავაგაროთ და დღეს ამ ბედნიერებით ვტკბებით, იქნებ მიპასუხოთ, რატომ იმართება ჩვენი სამშობლო ვეროპა-ამერიკის დირექტივებით, თანაც უფრო ვერაგულად და მიზანმიმართულად?! ხელისუფლების წარმომადგენელთა დაავადებულ ცნობიერებაში სამშობლოს სიყვარული საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვამ ჩაანაცვლა. ფინანსდება მხოლოდ არაეროვნული პროექტები და შენერებულია ქვეყნის ეროვნული განვითარების ყველა ბერკეტი.

შეიმედებოდა, რომ რესპუბლიკელებს ბ-ნი ბიძინა გვერდზე გასწევდა, როგორც არაეროვნულ ძალებს, მაგრამ ყველა ბერკეტი რესპებს ჩაუვდოდა ხელთ და აირჩიეს ეროვნული ტრადიციების მაგინებელი პრეზიდენტი მისივე კეთილდღეობისთვის. ნაცვლად სახალხო მმართველობისა, სადაც ხალხი უნდა იყოს შემკვეთი, ხოლო ხელისუფლება – შემსრულებელი, მივიღეთ დიბურასტული მმართველობა, რაც ემსახურება თავად ხელისუფლების წევრთა და უცხოელების, ე.წ. ინვესტორთა გამდიდრებას, ხალხისათვის და ქართული ტრადიციებისთვის მიუღებელი უცხო კანონების შემოღებას და ერის თვითგანადგურებას. თუ საქართველოს საგარეო პოლიტიკა მსოფლიო გლობალური პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს, ვინ დაუშალა ხელისუფლებას თუნდაც აღმსრულებლის ძეგლის დაბრუნება ძველ ადგილზე? მეტიც, ძველი რომ არ დაბრუნდეს იმ ადგილზე საბაგირო გზის მშენებლობა დაიწყეს! დღემდე იძულებულს ხდინან საზოგადოებას სულაქოთებული კრიმინალი ნაცების განცხადებები ისმინოს ხელისუფლების წევრთა არაფრისმთქმელ განცხადებებთან

ერთად დიალოგის რეჟიმში, რაც საზოგადოების ზიზღსა და სიძულვილს იწვევს. პარლამენტის თავმჯდომარე თუ, ერთის მხრივ, მკვლელი ნაცების სახის გადარჩენას დემოკრატიის გადარჩენად მიიხსენებს, რაც 17 აპრილს პრეზიდენტის ვიზიტისას განაცხადა, მეორეს მხრივ, უკრაინაში მიტინგების დარბევის საპასუხოდ მთავრობის მიმართ (წერილობითი) პროტესტი გამოხატა ნაცებთან ერთად და აცხადებს, რომ მთელი პასუხისმგებლობა უკრაინის ხელისუფლებას ეკისრება – ეს ამაზრხენი ცინიზმია!

ნაცების სახის გადარჩენით თავის გადარჩენა უნდა „ოცნებას“, რადგან დისკრედიტებულ ოპოზიციას ყოველთვის მოუგებს არჩევნებს. სხვაგვარად მას მომავალი არა აქვს.

ივანიშვილი საეკლესიო დოგმების წინააღმდეგობა, მაგრამ თავად მოწვევებს დოგმებს: დ. უსუფაშვილს ნუ აკრიტიკებთ, სახელმწიფო მოღვაწეა და პატივი უნდა სცეთო. ვერაფერს მიკარნახებს პატივი ვცე თუ არა უსუფაშვილს, რამეთუ პიროვნება თავად უნდა აღვივებდეს ხალხში პატივისცემას თავისი განვლილი გზით, ეროვნული თვითშეგნებით, ქვეყნისა და ერის ტკივილის გათავისებით.

ხელისუფლების იდეოლოგიურმა გეპტელმა, ლ. ბერძენიშვილმა ჩემი დედასამშობლო დუიან ფსიქოპატთან – სააკაშიელთან გაათანაბრა რეიტინგით და არჩევანის წინაშე დაგვაყენა: ვეროპა თუ დამნაშავე ექსპრეზიდენტის დასჯა? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: რა თქმა უნდა სამართლებრივი სახელმწიფო ვეროპისა და ამერიკის ჩინოვნიკთა დიქტატის გარეშე, რომელნიც ისეთივე კრიმინალები არიან, როგორც ნაცები. საკმარისია ამ ცისფერფალოსინათა ხელის მითათუნება და ხელისუფლების წარმომადგენლები უსიტყვო, მონური მორჩილებით ასრულებენ მათ დირექტივებს.

ი. ალასანია გემოდგვრავს, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ და დავაფასოთ წინა მთავრობის ძალისხმევა ქვეყანაში პროგრესის მისაღწევად. რამდენ კარში თამაშობს ეს არსება? სააკაშიელმა მართლაც დაანახა მსოფლიოს რომ ჩვენს სამშობლოს მანიაკი მართავდა 9 წელი და „პროგრესიც“ შემოიტანა ქვეყანაში პოლიტიკური პროქტოლოგიის სახით.

საბჭოურ პერიოდში საქართველოს სახელი სტალინთან ასოცირდებოდა, ჭეშმარიტ გენიოსთან, რომელმაც მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოს საქართველოში დაბადებული ქართველი გენიოსი მართავდა. მასსოვს უნივერსიტეტიდან შუა აზიაში მოგზაურობის დროს როგორი სიყვარულით და ცნობისმოყვარეობით დაგვეყვებოდა ადგილობრივი მოსახლეობით: „საქართველო, სტალინი“ შეძახილებით.

როცა საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი თავად ცდილობს კრიმინალის გამართლებას და კანონსამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას ეს ქვეყნის მომავალს საშიშ პროცენდენტს უქმნის. შეკვეთილი მკვლევრობის შეფასების სანაცვლოდ 10 დადებით და 10 უარყოფით ახსნას გვთავაზობს, როგორც ჩანს ლიტერატურასთან ახლოსმყოფ „დ. ზურაბიშვილს იაპონელი მწერლის – აკუტაგავას“ ნაწარმოები წაკითხვისას და მისი იმპროვიზაციები შემოგვთავაზა.

ე.წ. პრეზიდენტმა რომელიც ზოგადი განცხადებებით იფარგლება, თავი შეიკავა „ორი გვამის“ თემის შეფასებისაგან, სამაგიეროდ ისეთ ჯარზე ოცნებობს, რომელიც ნებისმიერ აგრესორს სურვილს დაუკარგავს საქართველოსთან დაპირისპირების საინტერესო, ვის უქნევს თითს უმრავლესობის პრეზიდენტი, რუსეთს თუ თურქეთს? იქნებ ი. ალასანიას ინფორმაციას ვერდნობა, რომ ჩვენი ჯარი პრაქტიკულად უკვე ნატოშია?

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავიდოღლუმ ღიად განაცხადა, რომ ეკონომიკის საშუალებით აპირებენ თურქული იმპერიის აღდგენას, რომლის შეზღვევლობაში იყო ბათუმიც. აგრესორი

აგრესორად დარჩა, შეიცვალა მხოლოდ მიდგომები და ხმალი ფულმა ჩაანაცვლა. 2004 წლის 17 მარტს აზერბაიჯანში თურქეთის ელჩმა უნალ ჩევიკოვმა განაცხადა, რომ ყარსის ხელშეკრულების თანახმად თურქეთს აჭარაში ჯარების შეყვანის უფლება აქვს. პუტინი არ დაეთანხმა, მაგრამ როგორ მოიქცევა რუსეთის ხელისუფლება თუ საქართველო კვლავ ვეროპისკენ აიღებს გეზს? 75 მილიონიან თურქეთს აღუდგება წინ ქართული ჯარი და საჯიმო ბიჭებს უჯიმო ხელისუფლების სკამებს შეეწირავთ?

ორი საუკუნე ფაქტიურად რუსეთთან ერთ სახელმწიფოდ ვიცხოვრეთ და ერთიანმა ტერიტორიულმა სივრცემ შეგინარჩუნა ტერიტორია, იდენტობა და რწმენაც. მაინც, რას ელის ქართველი საკუთარი ქვეყნის ინტერესების დამცველი რუსეთის ხელისუფლებისგან, როცა თავად საქართველოს ხელისუფლება არ იცავს თავისი ქვეყნის და ხალხის ინტერესებს? თურქეთი ცდილობს გაიმყაროს პოზიციები საქართველოში თურქი მოსახლეობის მიგრაციის ფონზე, რაც საქართველოს დიდ საშიშროებას უქმნის. არ გამოირიცხება შეიარაღებული აგრესიაც.

1974წ. თურქეთმა შეიყვანა ჯარები კვიპროსში და კუნძულის 1/3 დაიკავა. ნატოს წევრ ქვეყნის – საბერძნეთის, ასევე ამერიკისა და ევროკავშირის წინააღმდეგობის მიუხედავად მას შემდეგ არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ კვიპროსის დანარჩენი 2/3 ნაწილი ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდა.

